ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

3 ივლისი 2023 წელი

დადგენილება N21

დ.ხარაგაული 56-00

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

9 აპრილის ქუჩა #15

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის №10 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 07/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.128.016403).

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და ამავე მუხლს დაემატოს მე-14[1] პუნქტი:

,,1. საჯარო ზედამხედველობა - არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, უკანონო მშენებლობის ან სანებართვო პირობების დარღვევით მიმდინარე მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება, მისი შესრულების კონტროლის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება ან/და უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და დამრღვევთა მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მისაღებად წინადადებების მომზადება და საჭიროების შემთხვევაში მითითებისა და შემოწმების აქტების გამოყენება/წარმოება.''

,,14[1]. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209[3] მუხლის პირველ პუნქტით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსითა და ნარჩენების მართვის კოდექსით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. ‘’

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი
მოადგილე

დავით კიკნაძე